საზოგადოებრივი ადვოკატი

№ 9
28 ოქტომბერი
2010

იურიდიული დახმარების სამსახური – მთელი საქართველოსთვის

იურიდიული დახმარების სამსახური აჭარაში

3-4 გვ.

დახმარება დაბადების მოწმობის არმქონე მოქალაქეებისთვის

2 გვ.

თქვენი მეგზური

როგორ და სად მივმართოთ იურიდიული დახმარების სამსახურს

4 გვ.

იურიდიული დახმარების სამსახური

- სისხლის სამართლის საქმეზე უფასო საადვოკატო მომსახურება გადახდის უუნარო მოსახლეობისათვის;
- უფასო იურიდიული კონსულტაციები სამართალწარმოების ნებისმიერ დარგზე - სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავები; საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში იურიდიული დოკუმენტების მომზადება;
- იურიდიული დახმარების ბიუროები მთელი საქართველოს მასშტაბით: თბილისში, თელავში, მცხეთაში, რუსთავში, გორში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ამბროლაურში, ოზურგეთში, ახალციხეში.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი, როგორც უფასო იურიდიული დახმარების მიწოდების ერთ-ერთი მოდელი, იურიდიული დახმარების სამსახურის ფარგლებში 2009 წლის მაისიდან ამოქმედდა. რეესტრი მიზნად ისახავს იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირთა ინტერესების დაცვის შეუფერხებელ და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სტანდარტებთან შესაბამის განხორციელებას. რეგიონული პრინციპით ფორმირებული რეესტრი დაკომპლექტებულია კერძო ადვოკატებისგან, რომლებიც, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას უფასოდ ემსახურებიან.

- რა არის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი? რატომ შეიქმნა იგი და როგორ შეხვდა თავის დროზე საზოგადოების ერთი ნაწილი ახალი სამსახურის ამუშავებას? ამ საკითხზე გვესაუბრება იურიდიული დახმარების სამსახურის რეესტრის კოორდინატორი ჯაბა უსენაშვილი.

- მოწვეულ ადვოკატის რეესტრის სისტემა არის უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მოდელი. საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსი, ისევე, როგორც ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა, კრძალავს რომ ერთი და იგივე ადვოკატმა, ან ერთსა და იმავე ბიუროში მომუშავე რამდენიმე ადვოკატმა წარმოადგინოს სამართლებრივად დაპირისპირებული ორი ან მეტი ბრალდებულის ინტერესი. ანუ, განახორციელოს იმ ბრალდებულების დაცვა, რომელთა შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. სწორედ ასეთ დროს, როდესაც ერთი ბრალდებულის დაცვას ახორციელებს საზოგადოებრივი ადვოკატი, არსებული კანონმდებლობით, იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვევით, სისხლის სამართლის საქმეში ერთვება კერძო სექტორში დასაქმებული ადვოკატი. ამ ადვოკატებს რეესტრის ადვოკატები ჰქვიათ. რეესტრის სისტემაში ამჟამად 85 მოწვეული ადოკატია, რომლებიც, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა, რაოდენობრივად გადანაწილებულნი არიან მთელ საქართველოში რეგიონების მიხედვით. შემოსული საქმის დინამიკის გათვალისწინებით, იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროები ახდენენ ამ ადვოკატების მოწვევას. რეესტრის ადვოკატებიც, საზოგადოებრივი ადვოკატების მსგავსად, სისხლის სამართლის საქმეებზე ახორციელებენ უფასო იურიდიულ დახმარებას. უფასოს ვგულისხმობთ ბრალდებულისთვის, თორემ ადვოკატის შრომას ანაზღაურებს სახელმწიფო.

თავის დროზე რეესტრის შექმნაზე მართლაც იყო აზრთა სხვადასხვაობა. მაგრამ ეს ძირითად ეხებოდა იმას, თუ რა ფორმით უნდა ჩამოყალიბებულიყო რეესტრი და ფუნქციონირების რა მექანიზმს უნდა დაყრდნობოდა. თუმცა, საკითხი მისი მიზანშეწონილობის შესახებ, ნამდვილად არ დამდგარა, რადგან ამ მხრივ თავიდანვე ყველასთვის ნათელი იყო ამ სისტემის აუცილებლობა. რეესტრის ადვოკატის არსებობის გარეშე იურიდიული დახმარების სამსახური ვერ შეძლებდა შეუფერხებლად განეხორციელებინა სტანდარტების შესაბამისი იურიდიული დახმარება.

გაგრძელება 3 გვ.

იურიდიული დახმარების სამსახურის პიარის სპეციფიკა

21-ე საუკუნეს ხშირად პიარის საუკუნესაც უწოდებენ, რადგან ყველას და ყველაფერს წარმატება ინფორმაციის ზუსტ, მრავალფეროვან და დროულ მიწოდებაზეა დამოკიდებული. ეს ეხება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სამსახურებს, რადგან საბოლოოდ ყველაფრის მომხმარებელი საზოგადოებაა. საზოგადოების ინფორმირებას კი სხვადასხვა ხერხი და მეთოდი სჭირდება, რასაც სპეციალური სამსახურები სპეციფიური მექანიზმებით ამზადებენ და შემდეგ საკუთარი მეთოდებით ნერგავენ. საზოგადოების ინფორმირების საკუთარი მიდგომები აქვს იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს გიორგი სელიმაშვილსაც, რომელიც ამ სამსახურის პიარს მისი შექმნის დღიდან ეწევა, და როგორც გამოკვლევები აჩვენებს, არც თუ უშედეგოდ.

- იურიდიული დახმარების სამსახურში მუშაობა მართალაც ძალიან საინტერესო იყო და დღესაც არის, რადგან ეს არის სრულიად ახალი ინსტიტუტი ქართული მართლმსაჯულების სისტემაში. მან 2005 წლიდან დაიწყო ფუნქციონირება და ამ ხნის მანძილზე რეფორმების საინტერესო ეტაპები გაიარა. რაც შეეხება მომხმარებელთან კომუნიკაციას - იურდიული დახმარების სამსახურის სფეციფიკიდან გამომდინარე, მისი პიარი საკმაოდ რთულია. ამიტომ საზოგადოების ინფორმირებისთვის მხოლოდ წმინდა მედიაკომუნიკაციის საშუალებებს არ ვიყენებთ.

იურიდიული დახმარების სამსახურის შექმის შემდეგ, ძირითადი სირთულე იყო ის, რომ ადამიანებისთვის გაგვეგებინებინა, რომ მათ აქვთ უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება. მოგეხსენებათ, საქართველოში სამართლებრივი ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია, განსაკუთრებით რეგიონებში და სოფლებში, სადაც სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების ნაკლებობაა. აქედან გამომდინარე - ინფორმაციის დეფიციტი. ეს იყო ჩვენთვის მთავარი სირთულეც და გამოწვევაც, რომელსაც სამსახურის ამუშავების პირველ ეტაპზე შევეჯახეთ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ისიც, რომ, ქართული მართლმსაჯულების მიმართ, ზოგადად, საზოგადოების ნდობა იყო ძალიან დაბალი. ამ დროს ახალი სამსახურის მიმართ სიმპათიის გაჩენა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, მიზანად დავისახეთ, გაგვეგებინებინა ადამიანებისთვის, რომ შეუძლიათ ეფექტურად დაიცვან თავიანთი უფლებები და ეს არის არა მხოლოდ დეკლარირებული, არამედ ადვილად რეალიზებადიც. ამ მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებებს მივმართეთ. საზოგადოებრივი ადვოკატები მუდმივად პირადად ხვდებიდნენ მოსახლეობას, ბენეფიციარებს პირადად უხსნიდნენ, როგორ გამოიყენებინათ ჩვენი მომსახურება, სად შეეძლოთ მიეღოთ უფასო იურიდიული კონსულტაცია, როგორ და რა შემთხვევაში უნდა ესარგებლოათ საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარებით და ასე შემდეგ.

ერთი სიტყვით, იურიდიული დახმარების სამსახურის სპეციფიკა მარკეტინგულ მიზნებზე ორიენტირებული არ არის. ჩვენ ვართ უფასო სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია და ჩვენი მიზანი იყო, მოგვეხდინა საზოგადოების სწორი ინფორმირება. ბენეფიციარებთან შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ისიც, რომ ადამიანებს ჰქონოდათ უშუალო კონტაქტის განცდა. ჩვენი მომხმარებლების არეალი კი საკმაოდ ფართო და ფაქიზია - ვხვდებით როგორიც იძულებით გადაადგილებულებს და სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლებს, ასევე არასრულწლოვან პრობაციონერებს, უფროსკლასელ მოსწავლეებს და სტუდენტებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება მიეჩვიოს საკუთარი უფლებების რეალიზებას და დაიწყოს

გაგრძელება მე-2 გვ.

ახალი ამბები

შეხვედრა ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციაში

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის მიწვევით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა. ღონისძიების მიზანი იყო მომავალი იურისტების ინფორმირება სამინისტროს სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ. შეხვედრას სამინისტროში შემავალი უწყებების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ სტუდენტებს საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის სპეციფიკა, უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობები და სამსახურის განვითარების ძირითადი მიმართულებები გააცნო. ყურადღება გამახვილდა იურიდიული კლინიკის პროექტზე, რომელიც სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს იურიდიული დახმარების სამსახურში სტაჟირების გავლის შესაძლებლობას აძლევს. იურიდიული კლინიკის რამდენიმე სტუდენტი, პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, იურიდიული დახმარების სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე დასაქმდა.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული კლინიკის პროექტის განხორციელების გარდა, მიმდინარე წლის ივნისში იურიდიული დახმარების სამსახურმა, გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობით, სტუდენტური კონფერენციაც მოაწყო. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თემაზე ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობა საქართველოს 8 უნივერსიტეტის ოცამდე სტუდენტმა მიიღო. ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი. ხოლო გამარჯვებულებმა სამახსოვრო პრიზებიც მიიღეს.

გასვლითი კონსულტაციები ზუგდიდის რაიონის სოფლებში

25 ოქტომბერს იურიდიული დახმარების სამსახურის სამეგრელოს-ზუგდიდის ბიუროს იურისტები ზუგდიდის რაიონის სოფლების - ერგეტისა და ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და მოსახლეობას შეხვდნენ. გავლილი კონსულტაციის მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის შესახებ.

სამეგრელოს-ზუგდიდის ბიუროს უფროსის რომან კეიდიას ცნობით, მოსახლეობა ძირითადად სოციალური დახმარების, პენსიის დანიშვნის, მიწის ნაკვეთის დაკანონებისა და იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის საკითხებით ინტერესდებოდა. გარდა ამისა, შეხვედრაზე ისაუბრეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ.

ოქტომბერის თვეში მსგავსში შეხვდრები ჩატარდა ზუგდიდის რაიონის სოფლების - კოკის, განმუხურის, ანაკლიის, დარჩელის, ინგირისა და შამგონის მოსახლეობასთანაც. გასვლითი კონსულტაციები მომავალშიც გაგრძელდება და რეგიონის სხვა სოფლებსაც მოიცავს.

ტრენინგი ოჯახური ძალადობის თემაზე

15-16 ოქტომბერს სასტუმრო „სიმპათიაში“ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე ორდღიანი ტრენინგი გაიმართა. სწავლებას თბილისის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროების ადვოკატები ესწრებიან. ღონისძიება ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ორგანიზებით ჩატარდა.

ტრენინგს ექსპერტი - მარინა მესხი უძღვებოდა. სწავლების ფარგლებში ყურადღება გამახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები და ოჯახში ძალადობის ძირითადი მახასიათებლები, ოჯახში ძალადობის დეფინიცია, მსხვერპლი და მოძალადე, ოჯახის წევრის ცნება, ძალადობის ფორმები, ოჯახში ძალადობის გავლენა არასრულწლოვნებზე, ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურები, მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა და სხვა.

იურიდიული დახმარების სამსახურის პიარის სპეციფიკა

პირველი გვერდიდან

ამ უფლების გამოყენება. სწორედ, ამისთვისაა შექმნილი იურიდიული დახმარების სამსახური.

რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია მედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობაც და მათი ინფორმირება ამ სამსახურის შესახებ, რადგან პარტნიორული ურთიერთობის გარეშე ძნელია საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარება. ამიტომ, დონორი ორგანიზაციების დახმარებით, ვაწყობთ სხვადასხვა სახის სამუშაო შეხვედრებს, როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონალური მედია საშუალებების წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებს მოაქვს ბევრი დადებითი შედეგი, მაგალითად, რეგიონებში ჟურნალისტები და იურიდიული დახმარების ბიუროების წარმომადგენლები უშუალოდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. გარდა ამისა, წარმატებით ვიყენებთ ცენტრალური მედიის შესაძლებლობებს, რადგან დაფარვის თვალსაზრისით და აუდიტორიის ათვისების მხრივ, ეს ძალიან ეფექტურია. ამასთან, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განვახორციელეთ ძალიან საინტერესო მედია კამპანია, რომელიც მოიცავდა საგაზეთო ჩანართს გაზეთ „24 საათში“ და გადაცემებს რადიო □მწვანე ტალღის□ ეთერში. ამაში გვეხმარებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია □მედიის განვითარების ფონდი□, რისთვისაც ამ ორგანიზაციას და გაეროს განვითარების პროგრამას ჩვენი სამსახურის სახელით დიდ მადლობას ვუხდი. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ყველაფერი უკ იქნება წყალში გადაყრილი შრომა, თუ იურიდიული დახმარების სამსახურმა რეალურად არ იმუშავა. საქართველო არის ძალიან პარატა ქვეყანა და ყველა ინფორმაცია, რაც გადის მედია საშუალებით, ადვილად გადამოწმებადია. საბედნიეროდ, ბოლო კვლევები გვიჩვენებს, რომ ჩვენი მომხმარებლები საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიონალიზმს და იმ შედეგს, რასაც ისინი სასამართლოში და სხვა ორგანიზაციებში აღწევენ.

- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჟურნალისტების დიდი ნაწილი არ იყო და დღესაც არ არის ინფორმირებული საზოგადოებრივი ადვოკატურის შესახებ. არადა, საზოგადოების ინფორმირება მათი მთავარი დანიშნულებაა, როგორ ახერხებთ ჟურნალისტებთან ურთიერთობას?

- ჟურნალისტებთან ურთიერთობა ჩვენთვის პრიორიტეტულია. პირველი ყველაზე მარტივი ხერხი მათთან ურთიერთობის არის ჩვენი ვებ-გვერდი, რომელიც თვეში რამდენჯერმე განახლდება. ვებ-გვერდზე იდება ყველა ინფორმაცია სამსახურში მიმდინარე სიახლეების შესახებ, დაწყებული სტატისტიკიდან, ნებისმიერი საჭირო ცნობით დამთავრებული. გასულ წელთან შედარებით საზოგადოებრივი ადვოკატის ვებ-გვერდს წელს ორჯერ უფრო მეტმა ადამიანმა მიმართა. ჩვენი საიტის კარგი ფუნქციაა ის, რომ გვაქვს ონლაინ კონსულტაციის სერვისი, სადაც როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, ასევე ჟურნალისტებს, შეუძლიათ მოგვმართონ მათთვის საინტერესო შეკითხვით და საკმაოდ ოპერატიულად მიიღონ პასუხი. მედიასთან, გარდა ყოველდღიური სამუშაო ურთიერთობისა, ვცდილობთ მოვაწყოთ ისეთი ტიპის შეხვედრები, სადაც უკეთესად გავიცნობთ ერთმანეთს, შევისწავლით ერთმანეთის საჭიროებებს და სწორად შევიმუშავებთ ურთიერთთანამშრომლობის მოდელს. მოდელს, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს, როგორც ჟურნალისტებს, ასევე იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებს. გარდა იმისა, რომ სემინარებზე ჟურნალისტებს ვუხსნით ჩვენი სამსახურის სპეციფიკას და მუშაობის შედეგებს, ვატარებთ იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, რათა ჟურნალისტებმა თავი იგრძნონ ქართული მართლმსაჯულების თანამონაწილეებად. გამოსცადონ საკუთარი თავი როგორც ადვოკატის, ასევე ბრალმდებლის და ახალ უკვე ნაფიცი მსაჯულის როლში. როდესაც ადამიანი მოირგებს ამა თუ იმ სამსახურის ფუნქციონალურ როლს, მისთვის უფრო გასაგები ხდება ამ სამსახურის სპეციფიკა. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის, რომ ჟურნალისტმა კარგად გაიგოს იურიდიული დახმარების სამსახურის დანიშნულება და სწორად მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია.

- ცნობილია, რომ კარგი პიარი კეთილგანწყობილი ურთიერთობებით მიიღწევა. თუმცა, ჟურნალისტის და ადვოკატის პროფესიები გარკვეული ზღვარის შენარჩუნებას გულისხმობს. როგორ აბალანსებთ ამ ზღვარს?

- იურიდიული დახმარების სამსახური, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ბოლომდე გახსნილი ვერ იქნება, ამიტომ, როდესაც ესა თუ ის საქმე ჟურნალისტის ინტერესის სფეროში ექცევა, პირველ რიგში ამოვდიგართ ჩვენი დასაცავი პირის ინტერესებიდან და მხოლოდ მათთან შეთანხმებით ვახდენთ ჟურნალისტებთან კომუნიკაციას. ეს საჭიროა იმისთვის, რომ არ მოხდეს ბენეფიციართა ინტერესების დარღვევა. სხვა მხრივ იურიდიული დახმარების სამსახურს აქვს ღია და გამჭვირვალე პოლიტიკა. ჟურნალისტებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ადვოკატს როგორც პირდაპირ, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის დახმარებით, და მიიღონ საჭირო ინფორმაცია. ზედმეტ ბარიერებს არ ვქმნით. პირიქით, ჩვენი მიზანია, საზოგადოებრივი ადვოკატების და მედიის დაკავშირება.

- მომავალში რა სიახლეები იგეგმება საზოგადოების ინფორმირებისთვის?

-ვიდრე სამომავლო გეგმებზე ვისაუბრებთ, მინდა მოკლედ შევაჯამოთ იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობა. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, მიმდინარე წლის ძირითადი მიღწევაა ის, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის მომხმარებელთა რაოდენობა იზრდება. გაწეული კონსულტაციის რაოდენობა გაიზარდა 42 პროცენტით, ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. წარმატებაა ისიც, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ადამიანთა რაოდენობაც, რომლებსაც წარსულში ჰქონდა მიღებული ჩვენი მომსახურება და ახალი პრობლემის გამო განმეორებით მოგვმართეს. ეს ადამიანები ჩვენი ბენეფიციარების მესამედს შეადგენენ.

მომავალში კიდევ უფრო მეტად ვაპირებთ გააქტიურებას საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის წარმოსაჩენად. საკმაოდ ბევრი წარმატებული საქმეები გვაქვს და გვინდა ამ საქმეებზე საზოგადოებას სრულყოფილი ინფორმაცია მივაწოდოთ. ამასთან, დონორი ორგანიზაციების დახმარებით, კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით ჩვენს ვებ-გვერდს და ვიმუშავებთ მის დახვეწაზე, რომ გახდეს უფრო მეტად ფუნქციონალური და მსურველმა ვებ-გვერდიდან გაუსვლელად მოახერხოს იურიდიული დახმარების მიღება, რაც კიდევ უფრო კომფორტულს გახდის ჩვენს სამსახურთან მომხმარებლის ურთიერთობას.

ახალი საპროცესო კოდექსი – გამოწვევა საზოგადოებრივი ადვოკატისთვის

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ იურიდიული დახმარების სამსახური ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. კოდექსი, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული, ადვოკატის შესაძლებლობებსაც ზრდის, თუმცა, მეორეს მხრივ - მისგან მეტ პროფესიონალიზმსა და რესურსს მოითხოვს.

კოდექსის ამოქმედებისთვის იურიდიული დახმარების სამსახურში უკვე რამდენიმე თვეა აქტიურად ემზადებიან. ამის შესახებ „საზოგადოებრივი ადვოკატი“ უკვე წერდა. ოქტომბერში იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატებმა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად აუცილებელი საპროცესო დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმები შეიმუშავეს. ამიერიდან საზოგადოებრივი ადვოკატები ყოველდღიურ საქმიანობაში გამოკითხვის, დათვალიერების, გვამის ექსჰუმაციის, საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშის აღების, საგამოძიებო ექსპერიმენტის და შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის ოქმებს გამოიყენებენ.

თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატების განმარტებით, საპროცესო დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმების შემუშავება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დანერგილმა ნოვაციებმა განაპირობეს. „აღნიშნული ფორმები იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებულ საზოგადოებრივ ადვოკატებს საქმიანობას მნიშვნელოვნად გაუადვილებს. ამასთან, ხელს შეუწყობს იურიდიული დახმარების სამსახურში სწორი და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც განამტკიცებს ჩვენი ბენეფიციარების ინტერესების ეფექტურ, თანმიმდევრულ და ხარისხიან დაცვას.“

- აცხადებს თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი იმედა ბერიშვილი.

შეგახსენებთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შევიდა. კოდექსი აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე და მნიშვნელოვნად ზრდის ადვოკატის როლს როგორც გამოძიების სტადიაზე, ისე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე. ადვოკატს შეუძლია დამოუკიდებლად ჩაატაროს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები; გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს; ბრალდების მხარესთან თანაბარ რეჟიმში მონაწილეობა მიიღოს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში და სხვა.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი

პირველი გვერდიდან

– დღევანდელი გადასახედიდან, გაამართლა თუ არა მოწვეული ადვოკატის ინსტიტუტმა?

– ჩემი აზრით, დღეს თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ მოწვეულ ადვოკატთა რეესტრი არის საინტერესო, კონკურენტუნარიანი და ჩამოყალიბებული სისტემა. რა თქმა უნდა, სამუშაო კიდევ ბევრია, მაგრამ ამ სისტემის სასარგებლოობა კარგად ჩანს დამწყებ ადვოკატებთან მიმართებაში. ჩვენ გვყავს რამდენიმე ახალბედა ადვოკატი, რომლებმაც ახლახანს ჩააბარეს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდები და გახდნენ ადვოკატთა ასოციაციის წევრები. იმისათვის, რომ მათ დაიმკვიდრონ შრომის ბაზარზე თავი, ამას სჭირდება გარკვეული დრო. ეს ზოგჯერ ძალიან დიდხანს გრძელდება. იურიდიული დახმარების სამსახური კი მათ აძლევს შანსს, მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატის სტატუსით საქმეებზე გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები და, შესაბამისად, მოახდინოს თავის დამკვიდრება. აქვე მინდა განვმარტო, რომ რეესტრის ადვოკატებს არ ეკრძალებათ კერძო საადვოკატო საქმიანობა, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო საქმეებზე. სხვათა შორის, მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატები კერძო საუბრებში გვეუბნებიან, რომ მას შემდეგ, რაც რეესტრში დაიწყეს მუშაობა, მათ წარმოებაში კერძო საქმეებმა მოიმატა. გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახური რეესტრის ადვოკატებთან თანამშრომლობს არა მარტო სამართალწარმოების მიმართულებით, არამედ მუდმივად ხდება რეესტრის ადვოკატების დატრენინგება. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ დონორი ორგანიზაციების დახმარებით თითქმის ყველა რეესტრის ადვოკატი გადამზადებულია ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ასევე უშუალოდ ჩაუტარდათ ტრენინგები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად.

– რეესტრის ადვოკატთა ანაზღაურებას, ისევე, როგორც საზოგადოებრივი ადვოკატების, სახელმწიფო უზრუნველყოფს. რამდენად დაცულია მოწვეულ ადვოკატთა დამოუკიდებლობა?

– რეესტრის ადვოკატები ანაზღაურებას იღებენ მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე გაწეული პროფესიული საქმიანობისთვის და არამც და არამც რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ერთგულების გამო. იურიდიული დახმარების სამსახური ნამდვილად არ ერევა მოწვეული ადვოკატის სამართალწარმოების პროცესში და დასაცავ პირთან ურთიერთობაში. ეს შეგიძლიათ გადაამოწმოთ ნებისმიერ რეესტრის ადვოკატთან და მათ კლიენტთან. მოწვეული ადვოკატები ანაზღაურებას იღებენ მათ მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების მიხედვით. იურიდიული დახმარების სამსახური მათ ერთჯერადად უხდით საქმეში ჩართვის თანხას, რომელშიც მოიაზრება ტრანსპორტირების, სისხლის სამართლის მასალების გაცნობის ხარჯები. ყველა საგამოძიებო მოქმედებისთვის წინასწარ, ბრძანებით არის განსაზღვრული თანხობრივი ნიხრი. ამასთან, რეესტრის ადვოკატები დამატებით ანაზღაურებას იღებენ დამდგარი შედეგისთვის. აქ არ იგულისხმება მხოლოდ გამამართლებელი განაჩენი, არამედ ნებისმიერი მცირედი წარმატებული ნაბიჯი, რომელიც შეიძლება გადადგას ადვოკატმა სამართალწარმოების ეტაპზე. დაახლოებით ორი თვის წინ მოხდა ამ თანხების ზრდა, რადგან სამსახურმა მიიჩნია, რომ დადგენილი ტარიფი არ შეესაბამებოდა რეესტრის ადვოკატების მიერ გაწეულ შრომას. ამ საკითხზე აქტიურად ვითანამშრომლეთ ყველა რეგიონის რეესტრის ადვოკატებთან და მათი მოსაზრების გათვალისწინებით დადგინდა ახალი ნიხრი, რომელიც, ვფიქრობთ, შეესაბამება მათ მიერ გაწეულ შრომას. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ მხოლოდ რეესტრის საქმიანობით ადამიანი ვერ დაიკმაყოფილებს ყველა მატერიალურ მოთხოვნას, რადგან ეს ვერ იქნება დიდი ანაზღაურება, ამიტომ აქვთ რეესტრის ადვოკატებს კერძო საადვოკატო საქმიანობის უფლება.

– ამჟამად ვითარდება თუ არა მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატის ინსტიტუტი და რა სიახლეები ინერგება?

– რეესტრის სისტემა მუდმივად განვითარების რეჟიმშია. ჩვენ სისტემატურად ვზრუნავთ ადვოკატების ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებასა და ამაღლებაზე. ასევე ვთანამშრომლობთ ყველა საკითხზე, რომელიც ეხება ადმინისტრირების თემატიკას, რომ ჩვენი ურთიერთობა იყოს მაქსიმალურად მობილური და მოქნილი. ჩვენ გვინდა, რომ მოწვეული

ადვოკატის რეესტრის განვითარება იყოს რეალურად ხელშესახები და ეს იგრძნოს რეესტრის თითოეულმა ადვოკატმა.

ჩვენი სისტემა რომ უკვე პოპულარულია, აშკარად ჩანს იქიდანაც, რომ კვირა არ გადის, სამსახურში ერთმა ადვოკატმა მაინც არ დარეკოს და რეესტრის ადვოკატად გახდომა არ ისურვოს. ხშირად ჩვენ მათ თხოვნას ვერ ვაკმაყოფილებთ, რადგან შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით. 85 მოწვეული ადვოკატი უკვე ჩაერთო 1000-ზე მეტს სისხლის სამართლის საქმეში. აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გაკეთება, წარმატებულია თუ არა რეესტრის ადვოკატის ინსტიტუტი.

წარმატებული საქმე

იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატის ომარ ზედგენიძის დახმარებით, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობისთვის მსჯავრდებულ, მარია კ.-ს დანშნული სასჯელი გადაუვადდა.

მარია კ.-ს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) ჩადენისთვის სასჯელად 2 წლით პირობით მსჯავრი და 500 ლარის ოდენობით ჯარიმა განესაზღვრა. მსჯავრდებულმა მასზე დაკისრებული ჯარიმიდან მხოლოდ 100 ლარის გადახადა შეძლო, რის გამოც სასჯელი დაუმძიმდა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეეცვალა. თუმცა, მარია კ.-მ ვერც ამ სამუშაოს შესრულება მოახერხა.

სასამართლო განხილვაზე პრობაციის ბიუროს უფროსმა მარია კ.-სათვის დაკისრებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის უფრო მძიმე სახის სასჯელით შეცვლა მოითხოვა, რასაც იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატი არ დეთანხმა. მოტივი – დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად, აღნიშნული სასჯელის შეუსრულებლობა მხოლოდ ობიექტური გარემოებებით იყო გამოწვეული. ომარ ზედგენიძემ მარია კ.-სთვის დანშნული სასჯელის 5 წლით გადავადება მოითხოვა. ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია სრულად გაიზიარა და მსჯავრდებულს დანშნული სასჯელი 5 წლით გადაუვადა.

ახალი ამბები

ტრენინგი მატერიალურ სისხლის სამართალში

ქუთაისში, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისათვის მატერიალური სისხლის სამართლის თემაზე ორდღიანი ტრენინგი გაიმართა. ღონისძიება გახსნეს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ, გაეროს განვითარების პროგრამის „იურიდიული დახმარების სამსახურის გაძლიერების“ პროექტის კოორდინატორმა ირინა ცაგარელმა და საქართველოში საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) პროექტის კოორდინატორმა სულხან გამყრელიძემ.

ტრენინგს ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის სამეგრელოს-ზუგდიდის, სამეგრელოს-ფოთის, აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის ბიუროების ადვოკატები. სწავლება ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამისა და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ორგანიზებით.

ტრენინგს უძღვებოდნენ სამართლის ექსპერტები - ოთარ გამყრელიძე, დავით სულაქველიძე და მირიამ ზიფრიცი. ისინი, საზოგადოებრივ ადვოკატებთან ერთად, განიხილნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, ბრალეული ქმედება, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, დანაშაულის კატეგორიები, ერთიანი დანაშაული, დანაშაულის სიმრავლე, თანამონაწილეობა, დაუმთავრებელი დანაშაული, ბრალისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები. თეორიული მასალის გაცნობის გარდა საზოგადოებრივ ადვოკატებს პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულების საშუალებაც მიეცემათ. ტრენინგი შემაჯამებელი დისკუსიით დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ გაეროს განვითარების პროგრამა **(UNDP)** და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) აქტიურად მუშაობენ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების პროფესიონალიზმის ამაღლების საკითხზე. მათი ორგანიზებით სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე საზოგადოებრივ ადვოკატებს პერიოდულად ტრენინგები უტარდებათ. იურიდიული დახმარების სამსახურის მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს.

იურიდიული კონსულტაცია ვალეს მოსახლეობისთვის

1 ოქტომბერს იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს იურისტები - დავით ზარიძე, დავით კურტანიძე და თინათინ აკოფიანი ქალაქ ვალეს მოსახლეობას შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი იყო საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და უფასო იურიდიული დახმარების შესახებ ინფორმირება.

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსის დავით ზარიძის ინფორმაციით, მოსახლეობა როგორც იურიდიული დახმარების სარგებლობის მსურობებს, ისე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სიახლეებს გაეცნო. ყურადღება გამახვილდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე, რომელიც სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდას ითვალისწინებს.

ადგილობრივთა პრობლემების განხილვისას გაირკვა, რომ მოსახლეობას ძირითადად სოციალური დახმარების, ასევე მიწის პრივატიზაციისა და სამეზობლო დავების საკითხები აწუხებს. საზოგადოებრივმა ადვოკატებმა ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე მოსახლეობას ადგილზე გაუწიეს კონსულტაცია. გარდა ამისა, შეხვედრის მონაწილეებს სხვადასხვა იურიდიულ თემაზე მომზადებული ბუკლეტებიც დაურიგდათ.

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო 2010 წლის იანვარში, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ამოქმედდა. ბიურო ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ბორჯომის რაიონების მოსახლეობას ემსახურება.

რეგიონი

იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს მიერ წარმოებული საქმეების 60-70% წარმატებით დასრულდა

იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის რეგიონის ბიუროს, რომელიც 2007 წლის ნოემბერში შეიქმნა, დაარსებიდან დღემდე წარმოებული აქვს დაახლოებით 1283 სისხლის სამართლის საქმე. აქედან როგორც ბიუროს ხელმძღვანელი, ლია ჭურაშვილი აღნიშნავს, 60-70 წარმატებით დასრულდა.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიურო რვა მუნიციპალიტეტს (საგარეჯო, სიღნაღი, დედოფლისწყარო, გურჯაანი, თელავი, ლაგოდეხი, ყვარელი, ახმეტა) ემსახურება და მოსახლეობას უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს. ბიურო, სადაც უფროსი, ხუთი ადვოკატი, ერთი სპეციალისტი და ერთი კონსულტანტია დასაქმებული, საკმაოდ აქტიურად მუშაობს. 2010 წლის დასაწყისიდან 20 ოქტომბრამდე ბიუროს უკვე წარმოებული აქვს 359 სისხლის სამართლის საქმე და აქედან უმრავლესობა კლიენტების სასარგებლოდ დასრულდა. მისი უფროსის განმარტებით, საქმეში სახაზინო წესით ადვოკატის ჩართვა ახლა უფრო დროულად ხდება და ბრალდებულის დაცვის უზრუნველყოფა სწრაფად ხორციელდება.

სხვადასხვა პრობლემატური საკითხთ მოსახლეობა უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად აღნიშნულ სამსახურს აქტიურად მიმართავს. ოჯახური ძალადობა, შიდა კონფლიქტები, ადამიანის უფლებების დარღვევა და ა.შ. ეს ის საკითხებია, რომლებზეც დაინტერესებულ პირებს ბიუროში მომუშავე კვალიფიციური ადვოკატები უფასო კონსულტაციებს უწევენ. **„სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე ხშირად მოგვმართავენ და ჩვენ მოქალაქეებს არა მარტო კონსულტაციებს ვუწევთ, არამედ სამართლებრივი დოკუმენტების შედგენაშიც ვეხმარებით. მიმდინარე წელს დღევანდელი მონაცემების მიხედვით უკვე 415 კონსულტაცია გავწიეთ და 153 სამართლებრივი დოკუმენტია შედგენილი“** -

გაგრძელება 3ე-4 გვ.

თქვენი მეგზური

იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართვის წესები:

* სისხლის სამართლის საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის თხოვნით იურიდიული დახმარების სამსახურს შეგიძლიათ მიმართოთ პირადად, ახლო ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

ვინ შეიძლება ისარგებლოს საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებით?

* კანონით დადგენილი წესით იძულებით დაცვას დაქვემდებარებულმა ყველა დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა.
* იმ დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა, რომელიც ამავე დროს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ოჯახის წევრია და მისი სარეიტინგო ქულა შეადგენს: 1) 70 ათასს ან ნაკლებს; 2) 100 ათასს და ნაკლებს, და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კატეგორიას:
  - ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;
  - ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;
  - გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;
  - დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი;
  - ე) მკვეთრად, მნიშვნელოვანად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;
  - ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;
  - ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.
* განსაკუთრებულ შემთხვევებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს უფლება აქვს თანხმობა განაცხადოს საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნაზე იმ პირისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ კრიტერიუმებს, მაგრამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ვერ გაწევს საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

უფასო იურიდიული კონსულტაცია:

იურიდიული დახმარების ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებში უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, როგორც სისხლის სამართალზე, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავებისას. კონსულტანტები მოქალაქეებს მისვლის დღესვე მიიღებენ.

საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში შესაძლებელია იურიდიული დოკუმენტების მომზადება.

იურიდიული დახმარების სამსახურის მისამართები:

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: სარაჯიშვილის გამზ. №1, მე-3 სართ
ტელ: 8(32) 623324;

კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: თელავი, ერეკლეს II გამზ. №8
ტელ: 8 (250) 71538;

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელ: 8(32) 513873;

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,
ტელ: +995(24) 15-77-22

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
მის.: გორი, სამეფოს ქ. №54
ტელ: 8 (270) 79556 8(95) 901704

იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ: 8 (292) 40250;

იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: სადგურის მოედანი №3
ტელ: 8 (231) 5-34-11

სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24
ტელ: 8 (215) 53472;

სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37
ტელ: 8 (293) 43332;

აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო
მის.: ბათუმი, წერეთლის შესახვევი №6
ტელ: 8 (88 222) 31799;

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: ახალციხე, თაბუკაშვილის №17
ტელ: 891 115571

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
ტელ: 895 308847

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი
მის.: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სარ.
ტელ: 8(296) 73824

იურიდიული დახმარების სამსახური
რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო
ტელ: (+995 32) 988493; 932090
ფაქსი: (+995 32) 988493
info@legalaid.ge; www.legalaid.ge

რეგიონი

იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს მიერ წარმოებული საქმეების 60-70% წარმატებით დასრულდა

დასაწყისი მე-3 გვ.

განმარტა ბიუროს ხელმძღვანელმა ლია ჭუნიაშვილმა.

მოსახლეობის მიმართვიანობიდან გამომდინარე შეიძლება ჩაითვალოს, რომ საზოგადოებაში ბიუროს ცნობადობა მაღალია, თუმცა მისი თანამშრომლები გაცნობითი ხასიათის შეხვედრებს ხშირად აწყობენ. გასვლითი კონსულტაციოებისას სამიზნე ჯგუფებია არასრულწლოვანები, პრობაციონერები, მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები, საკრებულოს წევრები, იძულებით გადაადგილებული პირები, ეთნიკური უმცირესობები. წელს გაცნობითი ხასიათის შეხვედრები მოეწყო ყვარლის №1 საჯარო სკოლაში, სოფელ ვაზისუბნის საჯარო სკოლაში (გურჯაანი), ლაგოდეხის სკოლა-ლიცეუმში, ასევე სოფლებში — ბაისუბანსა და კაბალში.

იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის რეგიონის ბიუროს ჩართულია ადგილობრივი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში, რომელშიც სისხლის სამართლის რეფორმის მონაწილე ორგანოები გაერთიანდნენ. კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს, პროკურატურისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები თელავის ყველა საჯარო სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეებს შეხვდნენ. ღონისძიების მიზანი იყო არასრულწლოვანებისთვის მათი უფლება-მოვალეობების განმარტება, მართლმსაჯულების საკითხების გაცნობა და ა.შ. ბიუროო მომავალშიც კვლავ აპირებს გასვლითი ხასიათის შეხვედრების მოწყობას და მოსახლეობის კვალიფიციურ დახმარებას.

როგორც მისი ხელმძღვანელი აღნიშნავს, მიუხედავად არაერთი წარმატებული საქმისა, თავიანთ მუშობას მაინც კრიტიკულად უდგებიან და ყველაზე წარმატებულად ისეთ საქმეებს მიიჩნევენ, როგორიცაა მაგალითად საზოგადოებრივი ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფის სასამართლოს სხდომის დარბაზიდან ან პოლიციიდან გათავისუფლება (ასეთი შემთხვევები არაერთხელ ყოფილა). თუმცა ასევე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს საპროცესო შეთანხმების მიღწევაც, რაშიც ადვოკატს მნიშვნელოვანი როლი აკისრია.

წარმატებული საქმე

ადვოკატ გია ფარადაშვილის დახმარებით ყაჩაღობაში ბრალდებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა

იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატის გია ფარადაშვილის ძალისხმევით, ყაჩაღობაში ბრალდებული გიორგი ო.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. საზოგადოებრივი ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფს ბრალად ედებოდა ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობის ჩადენა, რაც სასჯელის სახით რვიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამასთან, გიორგი ო. იყო ნასამართლევი და სხვისი ქონების მითვისებისა და გაფლანგვისათვის პირობით სასჯელს იხდიდა.

სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა გიორგი ო.-მ, თანხის დაუფლების მიზნით, გურჯაანში მცხოვრები ზეინაბ მ.-ს დაყაჩაღება გადაწყვიტა. ბრალდებულმა უკანონოდ შეაღწია დაზარალებულის საცხოვრებელი სახლში და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ზეინაბ მ.-საგან ფულს ითხოვდა. ეს პროცესი 15-20 წუთს გაგრძელდა. ამ დროს გიორგი ო.-ს ქუჩიდან შემოესმა ხმაური და იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

საქმეში ჩართვის შემდეგ, გია ფარადაშვილი გაესაუბრა ბრალდებულს და საქმის მასალების შესწავლა დაიწყო. როგორც აღმოჩნდა, გიორგი ო.-ს გააჩნდა ალიბი, რომელიც მის უდანაშაულობას ადასტურებდა. კერძოდ, დანაშაულის ჩადენის დროს იგი იმყოფებოდა მეზობელ სოფელ შაშიაანში, სადაც ჯვერ იქეიფა, შემდეგ დაიძინა და გამთენიისას ფეხით გაემართა სახლისკენ - სოფელ ჩუმლაყში.

ამის შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა მოითხოვა იმ პირთა დაკითხვა, რომლებიც გიორგი ო.-ს ალიბის უტყუარობას დაადასტურებდნენ. სწორედ ამ პირთა ჩვენებებმა დაარწმუნეს ბრალდების მხარე გია ფარადაშვილის დაცვის ქვეს მყოფის უდანაშაულობაში. საბოლოოდ, გიორგი ო. დაკავებიდან გაათავისუფლეს და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები მიმდინარე წელს 7200-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთვნენ. აქედან 180-ზე მეტი საქმე საზოგადოებრივი ადვოკატების დაცვის ქვეშ მყოფთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტით დასრულდა.

„ადამიანების დახმარება ადვოკატურიდან უფრო ადვილია, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქის პოზიციიდან"

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს 2008 წლის აპრილიდან ხელმძღვანელობს ლია ჭუ-

ნიაშვილი. 1987 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, როგორც წარმატებულ სტუდენტს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ ადვოკატთა კოლეგიაში მუშაობის დაწყება შესთავაზეს, რაზეც თანხმობა განაცხადა და სამუშაოდ გურჯაანში გაანაწილეს. მას მიაჩნია, რომ ადამიანების დახმარება ადვოკატის პოზიციიდან უფრო ადვილი შესაძლებელია და სწორედ აქედან გამომდინარე აირჩია ეს მიმართულება.

- რატომ გადაწყვიტეთ ამ მიმართულებით მუშაობა და რამდენად საინტერესოა ეს სფერო?

- სანამ ადვოკატურაში გამანაწილებდნენ, პრაქტიკები გავიარე სასამართლოში, პროკურატურაში, ადვოკატურაში, მაშინდელ რაიონულ აღმაშრულებელ კომიტეტში, პოლიციაში. მინდა გითხრათ, რომ ყველა მიმართულება - გამომძიებლობაც, პროკურორობაც, მოსამართლეობაც და ადვოკატობაც ძალიან მომეწონა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ბოლოს ადვოკატურაში წავედი და ამ საქმეს ისე შევეჩვიე, სხვა მიმართულებით მუშაობა არც მიფიქრია. მიმაჩნია, რომ ადამიანის დახმარება ადვოკატურიდან უფრო ადვილია, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქის პოზიციიდან. ძალიან საინტერესო სამსახურია. როგორც ვაკვირდები, ადვოკატობამ იცის შეჩვევა და ნელ-ნელა უფრო გიყვარდება ეს საქმე.

- დღეს ზოგადად როგორია ხალხის დამოკიდებულება საზოგადოებრივი ადვოკატის მიმართ?

- ხალხის ნდობა ამ სამსახურის მიმართ საკმაოდ მაღალია. ეს არის უფასო იურიდიული დახმარების სამსახური, სადაც მოქალაქეს შეუძლია მიიღოს მაღალკვალიფიციური და პროფესიული რჩევები, კონსულტაციები, სხვადასხვა საკითხებში დახმარება. რა საქმესაც ჩვენ ვემსახურებით, ვფიქრობ, წარმატებით ხორციელდება და ამით ხალხში ნდობის ხარისხიც მაღალ იწევს.

- რა არის თქვენთვის ყველაზე დიდი წარმატება?

- რა თქმა უნდა, პატარა წარმატებაც კი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ეს შეიძლება იყოს მაგალითად, საპროცესო შეთანხმება, რომელიც მართალია დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, მაგრამ ეს იმაზე დაბალი სასჯელის მიღების საშუალებაა, რაც მუხლით არის გათვალისწინებული. საპროცესო შეთანხმება, ფაქტობრივად, ადვოკატის წარმატებაა, რადგან ამ საქმეში სწორედ მას აკისრია მნიშვნელოვანი როლი. ყველაზე დიდი წარმატება კი ისაა, როცა დაკავებულს ათავისუფლებენ და, რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები, მინდა გითხრათ, რომ არაერთი გვქონია.

Published with financial support of the United Nations Development Programme (UNDP)
The views expressed in this publication are those of the authors and do not necessarily represent those of the United Nations or UNDP.
გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

UNDP

იურიდიული დახმარების სამსახური

MDF
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

გამოცემა მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის მიერ